გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“თავმჯდომარის მოადგილე დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი კომისიის 7 სხდომას სადაც მონაწილეობა მივიღე 45 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 32 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები ჩემს ამომრჩეველს როგორც საკრებულოს პროპორციული წევრი. ასევე, პერიოდულად ვესწრებოდი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს:

- ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრებთან ერთად სისტემატიურად ვეცნობოდი ინფრასტრუქტურულ პროექტებს სოფელ ვარიანში დავათვალიერე საბავშვო ბაღის მშენებლობა , საქაშეთის დევნილთა ჩასახლებაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები , მარანა-ტყვიავის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია , სოფელ ახალშენში და სოფელ ქვემო ახალსოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები . წლის განმავლობაში საკრებულოს წევრებთან და მერიის შესაბამისი სამსახურის წევრებთან ერთად აქტიურად ვეცნობოდი როგორც ქალაქში ისე რაიონში მიმდინარე პროექტებს .

- საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ბერშუეთში მოსახლეობასთან შეხვედრა გავმართე ფრაქციის წევრებთან ერთად სადაც მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და საჭიროებები განვიხილეთ , კოლეგებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ბერშუეთის სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დავათვალიერე და საბავშვო ბაღის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას დავესწარი .

- გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად ვეწვიე იოანე მოწყალის სახელობის სათნოების სახლის ბენეფიციარებს და საჩუქრები გადავეცით.

- გორის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს , ომის ვეტერან შშმ პირებს , უსინათლოებსა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათები გადავეცი . ნობათების ნაწილი გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან თანამშრომლობით მომზადდა , სააღდგომო საჩუქარი 400-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო .

- მიმდინარე წელს ვესტუმრე ბაკურიანისა და ბიისის საზაფხულო ახალგაზრდულ ბანაკებს , რომელიც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განხორციელდა , ბანაკებში მონაწილეობას 600-მდე ახალგაზრდა იღებდა გავეცანი ახალგაზრდების აქტივობებსა და საცხოვრებელ პირობებს .

- გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად დავაორგანიზე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მცირე მეწარმეების შეხვედრა ახალგაზრდებთან , შეხვედრას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მეწარმეებმა ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს ბიზნესის სფეროში .

- საკრებულოს წევრებთან და ახალგაზრდებთან ერთად ვესტუმრე ტყვიავის საჯარო სკოლას გავეცანი სასწავლო პროცესს და მათ საჭიროებებს ასევე სკოლას საჩუქრად გადავეცით მხატრული ლიტერატურა.

- გარდა ამისა მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ფარგლებში, ქალაქ რუსთავში გამართულ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდულ ფორუმზე : ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის''. ფორუმის მიზანი მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება , ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა იყო.

- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) პროექტის წარმომადგენლებთან ერთად მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს ვესტუმრე,სადაც სამომავლოდ დაიგეგმა ,შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის ერთიანი ელექტრონული ბაზის დანერგვა, პოპულაციის მართვის სააგენტოებისთვის სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს. ასევე ვარ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების(ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი და სოფლის მხადაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე არსებული კომისიის წევრი.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაშიც.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2024 წლის 24 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიგა გელაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე;

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიგა გელაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გიგა გელაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული

საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიგა გელაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გომართელი გიორგი, თიკო თანდიაშვილი, მარიამ ინაური.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : გიგა გელაშვილი;